

შპს სიო



პირველადი გადაუდებელი დახმარების მექანიზმები

პირველადი გადაუდებელი დახმარების მექანიზმები



1. შპს სიო ში (შემდგომში - კოლეჯი) პირველადი გადაუდებელი დახმარების უზრუნველყოფის მიზნით ფუნქციონირებს სამედიცინო პუნქტი.

2. სამედიცინო პუნქტი განთავსებულია სიოს მფლობელობაში არსებულ შენობაში და მის მუშაობას წარმართავს დირექტორის მიერ განსაზღვრული პირი - შრომის უსაფრთხოების და დაცვის მენეჯერი.

3. სამედიცინო პუნქტი უზრუნველყოფილია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად აუცილებელი აღჭურვილობითა და რესურსებით.

4. კოლეჯი ვალდებულია უზრუნველყოს სამედიცინო პუნქტის პირველადი გადაუდებელი დახმარებისთვის საჭირო რესურსების და პირადი ჰიგიენის ნივთებით პერიოდულად მომარაგება.

5. პასუხისმგებელი პირი უფლებამოსილია:

ა) თავად აღმოუჩინოს პირველადი გადაუდებელი დახმარება;

ბ) გამოიძახოს გადაუდებელი სამედიცინო დახმარება (112) და ფაქტის შესახებ მოახდინოს პროფესიული სტუდენტის ოჯახის წევრის ინფორმირება.

6. თუ დაწესებულების პროფესიული სტუდენტი/მსმენელი ან თანამშრომელი ვერ ახერხებს დამოუკიდებლად მისვლას სამედიცინო პუნქტამდე, ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პასუხისმგებელ პირს, შრომის უსაფრთხოების და დაცვის მენეჯერი ვალდებული არიან მიიყვანონ ეს პიროვნება სამედიცინო კაბინეტთან.

7. თუ დაწესებულების პროფესიული სტუდენტის ან თანამშრომლის ჯანმრთელობის მდგომარეობის სირთულიდან გამომდინარე ექვევქვე დგება მისი გადაადგილების უსაფრთხოება, დაწესებულებაში მყოფ ნებისმიერ პირს უფლება აქვს აცნობოს პასუხისმგებელ პირს და სთხოვოს მას ადგილზე გასინჯვა. პასუხისმგებელი პირი ვალდებულია დააკმაყოფილოს ეს თხოვნა.

8. აუცილებლობის შემთხვევაში პასუხისმგებელი პირი ვალდებულია დაუყოვნებლივ უნდა გამოიძახოს სასწრაფო დახმარება.

9. სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურის გამოძახებისას, პასუხისმგებელმა პირმა ოპერატორს უნდა მიაწოდოს ზუსტი ინფორმაცია, კერძოდ:

- საკუთარი ტელეფონის ნომერი;
- დაწესებულების მისამართი;
- რა შემთხვევასთან გვაქვს საქმე რამდენად სერიოზულია ის;
- დაზარალებულთა რაოდენობა, სქესი, ასაკი და ზოგადი მდგომარეობა;
- ნებისმიერი სხვა საჭირო ინფორმაცია.

10. სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის გამოძახებისას დაწესებულების პასუხისმგებელი პირი ვალდებულია პირველმა არ დაკიდოს ყურმილი, ვინაიდან შეიძლება ოპერატორმა დასვას დამატებითი შეკითხვები.

